

**-ze/-ši თანდაბულიანი ფორმები
ქართული ენის ტაოურ დიალექტში
-ZE/-ŠI (ON/IN) POSTPOSITIONAL FORMS
IN THE TAOIAN DIALECT
OF THE GEORGIAN LANGUAGE**

მარიკა თედორაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

თეონა მაჭავარიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Marika Tedoradze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

Teona Matchavariani

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The academic literature recognizes the form-related transformation of *-ze/-ši* postpositions as *-ze < zeda*, *-ši < šida*.

Change is observed at both the dialectal and literary levels of language. *-ši* and *-ze* postpositions are represented in both initial form and phonetic variants in some dialects, such as the Taoian dialect.

The article investigates the cases of realization, phonetic variants, and semantic nuances of the postpositions *-ze* and *-ši*, comparing their occurrence in the context of literary Georgian and other dialects.

The materials used for the analysis were sourced from the Scientific-Research Center of Kartvelology, named after Professor Taniel Putkaradze, affiliated with Akaki Tsereteli State University. The materials encompass data from field expeditions in Tao villages conducted between 2011 and 2022, as well as published Taoian texts by Putkaradze (1993) and Paghava, et. al. (2020).

The *-ze* postposition exists in Taoian dialect in the following variations: *-ze*, *-zesac*, *-zeda*, *-zedan*, and is used to convey different meanings. It denotes a) a location or place, b) time, c) a comparative degree. In certain cases, *-ze* is used instead of *-ši* and *-tvis* postpositions:

-ši is attested in the following variations: *-ši*, *-či*, *-šisac*, *-šigan*, *-šiga*. It denotes a) being inside and b) time. The *-ši* postposition also occurs as functioning similarly to *-tan*, *-ze* postpositions.

Semantic nuances and phonetic variants of postpositions in Taoian are generally similar to those in Georgian literary language and dialects. Additionally, the presence of archaic derivations is noted, and specific forms distinctive to the Taoian dialect have been identified, suggesting internal dialect development.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენის დიალექტები, ტაოური დიალექტი, -ში/-ზე თანდებულები, სახელის ფორმარმოება.

Keywords: dialects of the Georgian language, Taoian dialect, -ši/-ze postpositions, formation of nominals.

შესავალი

ტაოურ დიალექტში თურქული ენის ძლიერი ზეგავლენის მიუხედავად საკმაოდ კარგადაა დაცული ქართული ენობრივი (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური) სისტემა. ამ მხრივ საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს თანდებულები.

-ზე და -ში თანდებულები ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ფორმობრივი და სემანტიკური მრავალფეროვნებით ხასიათდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მათი ფორმობრივი ტრანსფორმაცია: -ზე < ზედა, -ში < შიდა. რიგ კილოებში -ზე, -ში იხმარება ამოსავალი ფორმით, უფრო ხშირად კი ფონეტიკურად იცვლება. ფორმობრივ მხარესთან ერთად მნიშვნელოვანია სემანტიკური ნიუანსები.

საანალიზოდ ავიღეთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით 2011-2022 წლებში ტაოს სოფლებში განხორციელებული ექსპედიციების პერიოდში ჩაწერილი მასალა; კვლევისას გამოვიყენეთ აგრეთვე გამოქვეყნებული ტაოური ტექსტები (ფუტყარაძე 1993; ფადავა... 2020).

სტატიაში განვიხილავთ ტაოურში -ზე და -ში თანდებულების რეალიზების შემთხვევებს, ფონეტიკურ ვარიანტებს, ფუნქცია-სემანტიკას ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა კილოებთან მიმართებით. დამუშავებულია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა და ლექსიკონები.

მეთოდოლოგია:

კვლევისას ვიხელმძღვანელებთ სხვადასხვა მეთოდით; დავამუშავეთ დიალექტური ტექსტები, რაც გულისხმობს საინტერესო ენობრივი ფაქტების/ნიმუშების აღნუსხვას, სელექციას და სისტემატიზაციას; აღწერითი მეთოდის მიხედვით ტაოურ დიალექტურ ტექსტებში (როგორც გამოქვეყნებულ, ასევე ახალ მასალაში) აღწერილ იქნა -ზე და -ში თანდებულების გამოყენების შემთხვევები, ფონეტიკური ვარიანტები, ფუნქციურ-სემანტიკური ნიუანსები; შედარებითი მეთოდის საშუალებით ვაჩვენებთ ტაოური დიალექტის მიმართება ქართული ენის სხვა კილოებთან; ანალიზისა და სინთეზის მეთოდებით გავაანალიზეთ ტაოელ ქართველთა

მეტყველებაში არსებული საერთოქართული და სპეციფიკური ენობრივი ნიშნები.

მსჯელობა

I. -ზე თანდებული ფორმოზებ-სემანტიკური ანალიზი

1) ტაოურში -ზე თანდებული გვხვდება შემდეგი ფონეტიკური ნაირსახეობებით: -ზე, -ზესაც, -ზედა, -ზედან. როგორც წესი, დაერთვის მიცემით ბრუნვას. -ზედან დასტურდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან.

-ზე

-ზე გავრცელებული ვარიანტია ტაოურში:

ხეზე გავა და დაღეწავს ტალეფთა (=ტოტებს); მეგვიდე თოფი, შუახტუნე გზაზე, წვერზე გიმივყვანე; შევხედე ქი, კილდეზე ასე მააყუდა მისი ზურგი; ცეცხზე-ნა დადვა; ჩვენ წვეროზე ვართ; ძალი-ნა დაასხა თენჯერზე (ექსპედ. მასალა)...

-ზესაც:

ტაოელ ქართველთა მეტყველებაში -ზე თანდებული გვხვდება -საც დაბოლოებით (-ც ნაწილაკის ფუნქციით). -საც ხშირად გამოიყენება არსებით, ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახელებთან, თავს იჩენს თანდებულიანი ფორმებთანაც (დადიანი 2022: 149-150).

საილუსტრაციო ნიმუშები: იმან თველზესაც (=თველზეც) დილბერა იმუშავა; ბითთევ ხალხ, მივართვამთ იმა დილაზესაც (=დილაზეც) მივართვამთ; ნიშანზესაც (=ნიშანზეც) მესელა აინი... (ექსპედ. მასალა).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ტაოურში -საც ერთიან მორფემას წარმოადგენს. -საც დაბოლოებიანი ფორმათა გაჩენა ტაოურში ანალოგიით არის ახსნილი; მესამე პირის ნაცვალსახელთა (ის-აც, ეს-აც...) ანალოგიით დაერთო არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებს, შემდეგ კი ზმნისართებზეც გავრცელდა. მსგავსი წარმოება სხვა კილოებში არ დასტურდება, ის სპეციფიკური ჩანს ტაოური მეტყველებისთვის (დადიანი 2022: 149-150).

-ზედა ტაოურში, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, მოსდევს სახელს. საილუსტრაციო ნიმუშები:

იმ შექერზედა დაასხამ; ბეჭზე დეიდებენ, დაკოჭებენ ჭერზედა; თივა თოვლზედა მეემწყვდევა; ისინი ემეიჯებიან ართუხ, შვილები ეყოლებიან, ქარჩილზედაც, მაიშში... (ექსპედ. მასალა)...

შდრ.: ზედა თანდებულის პოზიცია ძველ ქართულში განსხვავებული იყო; ის, როგორც წესი, სახელს მოსდევდა, მაგრამ არაიშვიათად სახელის წინაც იხმარებოდა. საშუალო ქართულში სახელის წინ სპორადულად გვხვდება, ახალ სალიტერატურო ქართულში კი წინ სრულებით არ ჩანს, საბოლოოდ განმტკიცდა ბოლოში (მარტიროსოვი 1946: 214).

ძველი ქართულის ზედა თანდებული რთული შედგენილობისაა, მიღებულია -ზე + -და მორფემებისაგან (ჯორბენაძე 1988: 177).

ზედან ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ახლავს:

ნაწველ ცეცხლი ზედან ვადუღეფთ, იმა გუაციეფთ; ჯარების ზედან სიმძიმე დუუჯდებიან; ორ ალაგა ქუა დაწკაებულია დილბერა, იმიზედან უჯონლია ჩვენ ძველ გურჯეფთა (ექსპედ. მასალა).

-**ზედან < ზე-და-ნა** ფორმაში -**ნა** ჩანს იმავე დანიშნულების, რაც ზე-ნა, ქვე-ნა ლექსიკურ ერთეულებში. შესაძლოა დიალექტებში (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს კილოებში) -**ნ-ზედან** თანდებულში ფონეტიკური დანართი იყოს (ჯორბენაძე 1988: 178).

განხილული მასალის მიხედვით, ტაოურში გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით ჭარბობს -**ზე** თანდებულიანი ფორმები; -**ზედა, ზედან** ვარიანტები შედარებით იშვიათია.

2) -**ზე** / -**ზედა** / **ზედან** თანდებულდართული ფორმები სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება:

ა) გამოხატავს საგნის ადგილმყოფობას:

ხეზე აბლი, ბევრი არ ხტებიან დათვები; შეხტება *ხევნარზე* (=ხეებზე), ხევნარ დალეწავს; *ფეხზე* შუმუტყორცნე იმასა, *ფეხზე* მუახვედრე; დაჰგლეჯავ, დაკრეფავ, გაშლი *დეფანზე*; თუ დიიდვა *ნაკმენზე*, ა(რ) გუსივდება; *სუფრეზე* დაჰყრი (ექსპედ. მასალა)...

ბ) აღნიშნავს დროს:

ვიარებოდით *დილაზეც*, *დილაზე* ჩომოვდოდით; კაი თივა არი და მოვენ, *საღამოზე* მოქყუავს; *დილაზე* წავა, *საღამოზე* მეიყვანს ბითევ ხალხ, მივართვამთ იმათ. *დილაზესაც* მივართვამთ; ყოლ *დილაზე* ჩაის უკან იმა ჭამენ; ერთ კვირეს იქით-და წევდე. *ბაირამზე* მოველ; *თჳელზე* ჩომოვდოდით აქა; აქ მოველ ანას სანახავა მოველ, *თათილზე* (არაბ. Tatil „დრო“); *ბიშობაზე* (=ბიშების გამოცხობის დროს. თურქ. Pismek „პურის კვერები“) მიხვალ (ექსპედ. მასალა)... *დილაზე* აადულეფ. *დილაზე* იმის უკან დალბობილი წყალი'ნა გუდუწურო; *დილაზე* ავდგებოდით, საღამომდე ვჰწევდით (ფაღავა... 2020: 1022)...

გ) გადმოსცემს შედარებითი, უფროობითი ხარისხის მნიშვნელობას. ერთვის როგორც ნაცვალსახელებს, ასევე არსებით და მისგან ნაწარმოებ სახელებსაც:

ნაჯადი *ცულზე* პაწაა და, ემეზე დიდი, *წალდზეც* დიდი; აქევრი ლებუო ბარი *ლებუოზე* კაა იქნება; ეს ჩემზე დიდია და ამან კაი იცის; *შენზე*, *ჩემზე* გენჯი, ჭო; ერთი წლით *ჩემზე* პეტერაა (ექსპედ. მასალა)...

დ) -**ზე** თანდებულიანი ფორმა გამოხატავს დანიშნულებას, მიზანს და შეესაბამება -**თვის** თანდებულიან ფორმას. ამგვარი წარმოება დამახასიათებელია ზოგადად ქართული მეტყველებისთვის, შესაბამისად, გვხვდება ტაოელ ქართველთა მეტყველებაშიც:

შივჭამთ, *საქმეზე* მივალთ; *შემაზე* ვიარებოდით; *ნადირობაზე* ჩასულან იქეურობაში; ა გეტყვიან შენ, რაზე მოხველი; *ნეკერზე* ვიარებოდით; შენ აქევრობაში იარები, *სიარულზე* მოსულხარ; დილაა *საქმეზე* მუასხამ კაცეფთა; *ჩემზე* ფული აბლია (ექსპედ. მასალა)... ბაღნის *საჭმელზე* ჩაველ; წყალზე გუგზანია რძალი (ფაღავა... 2020: 1084)...

შდრ.: იმერხეულში -**ზე** თანდებულცივლის -**თვის**, -**თან** თანდებულიან ფორმებს:

გენჯები *საქმეზე* (=საქმისთვის) წადიან; დილაზე თექრელ *საჭმელზე* (=საჭმლისთვის) მოდიოდე (ექსპედ. მასალა)... დატია ჯარი *ქალაქზე*

(=ქალაქთან) ახლოს; ჩევდა ჩამლიბელში, *ისტამბოლზე* =(სტამბულთან) ახლოს; მივდა *ქალაქზე* (=ქალაქთან) ახლოს (მარი)¹...

ე) **-ზე** თანდებულიანი ფორმა გვხვდება ისეთ შემთხვევებში, სადაც თანამედროვე სალიტერატურო ენასა და კილოებში **-ში** თანდებული გვაქვს. აღნიშნავს დროს, ადგილს. მაგალითები:

აქენდამ ქი წახვიდე, ერთ *საათზე* (=საათში) გახვალ, ჰო; ზამთრი *საჭმელებზე* (=საჭმელეფში) გურევთ აბლა-აბლა; ერთ *წელზე* (=წელში) ბევრი შუილები ჰყავან; იმან გამაგდო *კარზე* (=კარში), სახლიდამ *კარზე* (ექსპედ. მასალა)... სამ *დღეზე* (=დღეში) გადეარა (შ. ფუტკ.); თუ ცქვიტა-ცქვიტა მოქსოვ, ერთ *კვირაზე* (=კვირაში), ათ *დღეზე* (=დღეში), ნელ-ნელა თუ მოქსოვ, ერთ *თვეზე* (=თვეში) მოქსოვ (ფაღავა... 2020: 1008)...

ვ) იშვიათად **-ზე** თანდებულიანი ფორმა გვაქვს მოსალოდნელი უთანდებულო მიცემითის ნაცვლად.. მაგ:

აქო ისე წყალი ჩევდოდა, ქი *ხიდზე* (=ხიდს) წვდებოდა (ექსპედ. მასალ.); პარიჭევში *ღელეზე* (=ღელეს) რომ მუახლოვდებოდი, ჩემი ანაი - აიშოი მეტყოდა: ოღულ, მეიღალე?! (შ. ფუტკ.)...

II. **-ში** თანდებულის ფორმოზრიგ-სემანტიკური ანალიზი

ტაოურში **-ში** თანდებული დაერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას. დასტურდება შემდეგი ნაირსახეობებით: **-ში**, **-ჩი**, **-შისაც**, **-შიგან**, **-შიგა**².

-ში (< შიგან):

მე ვმუშაობ და, *მეტეფში*; მე ასკერში წეველ; ყოლ *ყულახში* არა, ამ *ყულაღეფჩი* უმატებ, აჰა (ექსპედ. მასალა); იქა *გზიპირში* ფიქლები არი (შ. ფუტკ.)...

-ჩი (<ში) ვარიანტი მიღებულია **შ** სპირანტი თანხმოვნის აფრიკატიზაციით:

ხანჩი ისინი გვამლევდეს; ასე ემეიჯებიან, კვლენა დამი *ხანჩი*; სხვა *მაალეფჩი* რა ვიცი, ისენი ფექ არ ვიცი; ი მასუკა *ჭალეფჩი* ერთი სოფ ემე არი; გელი იქ იქნებოდა, *მაღლეფჩი*; მეც *აქობაჩი* დავხტივარ, ჩემებურა დავხტივარ (ექსპედ. მასალა); მოდიან *ზღაფხულჩი*, ზამთარი მიდიან (ფაღავა... 2020: 983)...

შდრ.: იმერხელში **-ჩი** თანდებულიანი ფორმები სპორადულად დასტურდება: მევიტანთ... დავწვავთ *ზამთარჩი*; ფეხით ორ *საათჩი* ანჯახ გახვალ, ორ *საათჩი* (ექსპედ. მასალა)...

-ჩი ფიქსირდება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც (მოხეური, ხევსურული, გურული, იმერული...).

ტაოურში **-ში** და **-ზე** თანდებულები დაერთვის დროისა და ადგილის ზმნისართებს, მაგალითები:

ქალები *ხანჩი* ასე ქი არავინ იქნება; *ხანჩისაც* თქვენ მოდიხართ; ამა *ხანჩი* ისინი გვამლევდეს ისენი; მოთორით დავჭრიდით, *ხანზე* ართუხ

¹ ნ. მარის მიერ ჩაწერილი ტექსტებიდან შესაბამის ნიმუშებს ვიმოწმებთ ქართული დიალექტური კორპუსიდან (<http://corpora.co/#/text>)

² შდრ.: **-შიგა**, **-შიგ** ხევსურულში გვხვდება; **-შიდ** და **-შით** დასავლურ კილოებში, **-ჩი** თანდებული ახასიათებს როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებს (მარტიროსოვი 1946: 218).

ცულითა (ექსპედ. მასალა); *ხანჩი* მიდიან, *ხანჩი* არ მიდიან (ფაღავა... 2020: 919)...

შდრ.: აღნიშნული წარმოება იმერხეულში იშვიათად ფიქსირდება: იმ *ხანზე* ბაბაიც, ჩემი ბაბაი, ზემოდამ ჩამოვა (შ. ფუტკ)...

ტაოურში **აქ, იქ** ადგილის ზმნისართებთან იშვიათად იხმარება: **აგზე < აქზე; იგზე < იქზე:**

დოლეჯიანკარში ვართა ჩვენ, *იგზე* ვარ, *იქ* დევბადე; *აგზე ქობ* ვაკეთეფთ (ექსპედ. მასალა)...

შდრ.: მსგავსი წარმოება დასტურდება აჭარულსა და იმერხეულში. ამ უკანასკნელში სისტემურ ხასიათს ატარებს. მაგ.:

დერმან აღა ვხმაოფთ *აგზე*; იმ ემეს, ნაჭერ *იქში* ემესიქდენ, წულუსვემდენ (ექსპედ. მასალა)... *აგზე* დეილანმა ერთი სახლი (შ. ფუტკ); *აქში* მოვა ტარიელ ფუტკარაძე, დაბლა ჯდება (ფაღავა... 2020: 1054)...

ტაოურში **-ში** დაერთვის **-ურ, -ობა** სუფიქსებით ნაწარმოებ **აქ, იქ** ზმნისართებს:

აქობაში ვიარებოდით; *იქობაში* ღენჭებ იკითხვენ; წყლებ შესმენ დაბლაობაში; *აქობაში* ჩოფები-მოფები იქნება; თუ დოხტორებში თუ იქნებიან და, *იქრობაში* ჩადებენ; იქ ბევრი იალუზა მოვა იქოურობაში (ექსპედ. მასალა)...

შდრ.: ამგვარი წარმოება ფიქსირდება იმერხეულში: აქ გამოხვალ, *აქაურობეფში*; ბევრი ხანია გადმოხუელ *აქავრობაში*? (ექსპედ. მასალა)...

-ზე თანდებულის მსგავსად, **-ში/-ჩი** ვარიანტებიც -საც დაბოლოებით: მილშისაც ვიხურავ, ემე ვიხურავ; *თქვენშისაც* კარი, ემერი; *თქვენშისაც* არი? თქვე რა იჯებით?; *სახშისაც* დილა~ ავდგებით; *ხანჩისაც* თქვენ; იმათ ტყეში წავალთ, *ჭალეფჩისაც* (ექსპედ. მასალა); *თქვენშისაც* იდნია და? (ფაღავა... 2020: 1096).

-შიგან თანდებული რთული შედგენილობისაა, მიღებულია **-ში + -გან** კომპონენტთა შეერთებით. იხმარებოდა ძველ ქართულში. იშვიათად ვლინდება ტაოურ მეტყველებაში.

შიგან დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: სახლი *შიგან* რამდენი, რამდენი ღენჭები გაქუა (ექსპედ. მასალა).

შიგან ახლავს მიცემითის ფორმას (მიცემითი ბრუნვის **-ს** სუფიქსი იკარგება): წყალ *შიგან* ალაპალული იცის, ვიჭირავთ (შ. ფუტკ)...

-შიგა მიღებულია **-შიგან** თანდებულის ცვითის გზით. ტაოელთა მეტყველებაში იშვიათად დასტურდება: სახლი *შიგა* ადაჰყაბებ ვიცვამთ (ექსპედ. მასალა)...

საანალიზო ტექსტებში ხშირია **-ში** თანდებულის ნაცვლად უთანდებულო მიცემითის ფორმები, რაც არქაული ფაქტია. მაგ.:

სავრიათ დევბადე; აქ ქვაბა დაბადული ვარ... ; მოველ, ესენი *ბურსა(ს)* წევნეს; იქ *ბურსა* წაველ და *ბურსა* ვარ (ექსპედ. მასალა); სახლა ა ემი დედეი *ბათუმ* წასულა (შ. ფუტკ.); ჩვენა ახლა *ქონობან* მივალთ; ერთანე *სტამბულ* არი, ერთანე *ალმანიას* არი... (ფაღავა... 2020: 1129).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ უთანდებულო მიცემითი ზოგადად გადმოსცემდა ლოკატივის ფუნქციას, თანდებულისა

კი ამ ფუნქციას აზუსტებდა და შინაარსობრივად ახალი ნიუანსი შეჰქონდა მასში. თანდებულის მიცემითი ადგილის გამოსახატავად მეორეულია (მარტიროსოვი 1956: 379).

შდრ.: იმერხეულში ძირითადად გვაქვს **-ში** თანდებულის წარმოება და იშვიათია უთანდებულო მიცემითის შემთხვევები. მაგ:

მე ხალაჲ მყავდა *კვიახეთსა*, ხალაჲ; ემრეს წაველ *ანყარას*, იშთე; აქედან *ბურსას* ვერ ჩავალ ქი (ექსპედ. მასალა)...

განხილული მასალის მიხედვით, ტაოურში, სიხშირის თვალსაზრისით ჭარბობს ფონეტიკურად გამარტივებული **-ში/-ჩი** თანდებულის ფორმები, იშვიათად გამოიყენება შიგან, შიგა ვარიანტები.

2. -ზე თანდებულის სემანტიკური ანალიზი

-ში თანდებულის ტაოურში გამოხატავს:

ა) შინ, შიგნით მყოფობას:

იმათ მევეტანდით *სახლიკარში*; ღარჭები იკითხვენ, *ქომოობაში* მივდივართ; ი მასუკა *ჭალეფჩი* ერთი სო~ ემე არი; ფაქა *ფარგეფჩი* იქნება, ვერანა *ალაგეფჩი* (ექსპედ. მასალა)... ახლა ჟდას ბურსა *ქალაქშიგან*; ამ წყალ შიგან ალაპალუდი იცის, ვიჭირავთ; იქა *გზიპირში* ფიქლები არი (შ. ფუტკ); ძარებით ათრევდენ ქვას *თოვლშიგან*, აქ გავტეხიდით, ვაშენებდით (ფალავა... 2020: 1006).

ბ) დროს:

აქენდამ ერთ დღეში ჩახვალ ფეხითა; ერთი ონიქი *თვეში* გათოვდება; შვილები ეყოლებიან, *ქარჩილზედაც*, *მაიში*, *მაიში* დაჰყრიან ისენი; კაცები *კვირეში* ერთიხელა ჯამეში მიდიან (ექსპედ. მასალა); „დედეკაცი“, „დედეკაცი“, *მიდღეში* იმა ვიზახით (შ. ფუტკ)...

გ) **-ში** გამოიყენება **-თან**, **-ზე** თანდებულების მნიშვნელობით.

-ში = -თან:

აქ მოდი, *ჩვენში* (ჩვენთან) ჩაი შევსვათ; *თქვენში* (თქვენთან) ბეჭრ წუმსა?; ა იქა თიბავს, *მოძობლეფჩი* (მეზობლებთან); აქ არი *ჭანეფში* (ჭანებთან); რამდენი დოხთორეფში (ექიმებთან) მივყვანე (ექსპედ. მასალა)...

-ში = -ზე:

აკოცო-ნა, ასე *ხელიგულში* (ხელისგულზე) აკოცებ, ფარა-ნა მოიდეს (ექსპედ. მასალა)...

შდრ.: იმერხეულში **-ში** თანდებულის ენაცვლება **-ზე** თანდებულის ფორმას:

იმ თქვენ ზველ *გზაში* (=გზაზე) გაველ; *ხელიგულში* (=ხელისგულზე) ქვეშედან; ხელით, ჰო, *ზრუგში*, *ზრუგში* (=ზურგზე) თოკებით მეკვიდებდით (ექსპედ. მასალა); ზიგარაი რომ გეიგონა, მაშინ მოვდა *ჭკუაში* (=ჭკუაზე) (შ. ფუტკ)...

დასკვნები

გაანალიზებული მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტაოელ ქართველთა მეტყველებაში თანდებულის პოზიციები, სემანტიკური ნიუანსები, ფონეტიკური ვარიანტები ზოგადად ქართული სამწიგნობრო ენისა და დიალექტების მსგავსია. როგორც მოსალოდნელი იყო, ჭარბობს **-ზე** და **-ში** თანდებულების გამოყენების ფაქტები. საანალიზო თანდებულების ფონეტიკური ვარიანტებიდან დადასტურდა **-ზედა**,

ზედან, -ჩი, შიგან, შიგა ფორმები. **-ში/-ჩი** თანდებულები გამოვლინდა **-ობა, -ურ** სუფიქსებით ნაწარმოებ დროისა და ადგილის (აქ, იქ) ზმნისართებთან. დაცულია როგორც არქაული წარმოების ნიმუშები, ასევე საკუთრივ ტაოელ ქართველთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფაქტებიც. ამგვარი შემთხვევები შესაძლოა აიხსნას თვით დიალექტის შინაგანი განვითარებით.

გამოყენებული ლიტერატურა

- დადიანი 2013:** დადიანი ე., -ც ნაწილაკიანი ფორმები ტაოურში. ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XVII. ქუთაისი, 2013.
- დადიანი 2019:** დადიანი ე., სივრცული და დროითი მიმართების აღმნიშვნელი ზმნისართები ტაოელ ქართველთა მეტყველებაში. ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XXIII. ქუთაისი, 2019.
- იმნაიშვილი 1957:** იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. თბილისი, 1957.
- მარტიროსოვი 1946:** მარტიროსოვი ა., თანდებულები ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I. თბილისი, 1946.
- მარტიროსოვი 1956:** მარტიროსოვი ა., მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში. სბიქე, თბილისი, 1956.
- მარტიროსოვი 1960:** მარტიროსოვი ა., ზმნისართისა და თანდებულის სინტაქსური ურთიერთობისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XII. თბილისი, 1960.
- ფუტკარაძე 1993:** ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული. წიგნი პირველი. ბათუმი, 1993.
- ფუტკარაძე 2016:** ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული. წიგნი მეორე. ბათუმი, 2016.
- ტაო 2020:** ტაო (მონოგრაფია). ავტორები: მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, მ. ხალვაში, ჯ. ჩხვიმიანი, ჯ. კარალიძე. ბათუმი, 2020.
- ჯორბენაძე... 1988:** ჯორბენაძე ბ., კობაძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბილისი, 1988.
- ექსპედ. მასალა:** 2011-2022 წლებში ტაოში ჩაწერილი დიალექტური მასალა (ინახება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში).
- ქდვ:** ქართული ენის ეროვნული კორპუსი: <http://corpora.co/#/texts> (მოძიებულია: 07.05-13.05.2023).